

რადიოაქტიური გამოსხივება და მისი გავლენა გარემოსა და ადამიანის  
ჯამრთელობაზე (ჩერნობილის კატასტროფის მაგალითზე)

მომხსენებელი: ცოტნე სულაშვილი

ხელმძღვანელი: ბესიკ კალანდაძე

ელ-ფოსტა: E-mail: [Tshotne.sulashvili2013@ens.tsu.edu.ge](mailto:Tshotne.sulashvili2013@ens.tsu.edu.ge)

*გეოგრაფიის დეპარტამენტი. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,*

*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

*ი.ჭავჭავაძის პრ. #3, თბილისი.*

რადიოაქტიური დაბინძურება თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა რომელსაც დიდი უარყოფითი ზეგავლენის მოხდება შეუძლია როგორც საცხოვრებელ გარემოზე ასევე ადამიანზე.

რადიოაქტიური გამოსხივება მაიონებელი გამოსხივებაა რომელიც წარმოიქმნება რადიოაქტიური ნივთიერებებისგან, რომელიც ატომის დაშლით ხდება. აქვს უარყოფითი გავლენა გარემოს ყველა კომპონენტზე. დოზიმეტრის გარეშე შეუძლებელია იმის გაგება თუ რამდენადაა დაბინძურებული ესა თუ ის ტერიტორია რადიოაქტიური გამოსხივებით. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკის ავარია ეს იყო ბირთვულ მოვლენათა საერთაშორისო შკალით მეშვიდე დონის ერთადერთი შემთხვევა ისტორიაში, რომელმაც ვრცელი ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია. ის შეფასებულია, როგორც უდიდესი ავარია ატომური ენერგეტიკის ისტორიაში, როგორც დაღუპულთა და მისგან დაშავებულ ადამიანთა რაოდენობით, ისე ეკოლოგიური დაბინძურებითა და ეკონომიკური ზიანით.

რადიაციამ მოაღწია საქართველომდეც. განსაკუთრების აღსანიშნავია დასავლეთ საქართველო. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ მიმართულებით საქართველოში არ ჩატარებულა კვლევები რომელთა საჭიროებასაც ცხადყოფს ცეზიუმის ნახევრად დაშლის პერიოდი რომელიც 30.2 წელია ხოლო სტრონციუმის კი 28.8 წელი. ეს რადიოაქტიური ნივთიერებები გარემოში რჩება საუკუნეების მანძილზე და განაგრძობს ადამიანზე ზემოქმედებას, ამიტომაც მნიშვნელოვანია როგორც კვლევების ჩატარება ასევე ადამიანთა ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით.